საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/274 "31" ოქტომბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლომ და საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვა სასამართლოს შენობაში 1 ცალი ყავისა და 1 ცალი სწრაფი გადახდის აპარატის განთავსება. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭიროა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული სასამართლოს შენობის ფართის (4 კვ. მ.) სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, აუქციონის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ზემოაღნიშნული ფართის სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/275 "31" ოქტომბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ბიუჯეტის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების (გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა) და შემოსავლების ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების 2016 წლის კვარტალური განწერის კორექტირება თანდართული სახით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

ცვლილება სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების (გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა) და შემოსავლების ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების 2016 წლის კვარტალურ განწერაში

/თანხა ლარებში/

ორგანიზაციული კოდი | დასახელება	დასახელება	ცვლილება				
		წლიური თანხა	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
09 01 01 | საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	**ბალანსი**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
	შემოსულობები	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
	გადასახდელები	**25,000**	**0**	**0**	**0**	**25,000**
	3.1 | არაფინანსური აქტივების ზრდა	25,000				25,000
	ვალუტა და დეპოზიტები	**-25,000**	**0**	**0**	**0**	**-25,000**
	კლება (გამოყენება)	25,000	0	0	0	25,000
	ზრდა (დაგროვება)	0	0	0	0	0

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/276 "31" ოქტომბერი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის
ბიუჯეტის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური განწერის კორექტირება თანდართული სახით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

ცვლილება საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების კვარტალურ განწერაში

/თანხა ლარებში/

კოდი	ორგანიზაციის, პროგრამის ან ღონისძიების დასახელება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	ცვლილება- (+ზრდა, / -კლება)				
			წლიური თანხა	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
090102	საერთო სასამართლოები	შრომის ანაზღაურება	-200,000				-200,000
		არაფინანსური აქტივების ზრდა	200,000				200,000